

შპს "პროექტუმენტ სერვის გრუპი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

სექტემბერი 2023
თბილისი

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპ"

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1-2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5-15
ხელმოწერილი გვერდები	16-18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "პროქურმენტ" სერვის გრუპ"-ის (შემდეგში "პროქურმენტ სერვის გრუპ"/„კომპანია“/„ორგანიზაცია“ ფინანსური ანგარიშგება შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

თანდართული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდეგში „ფასს“ / „IFRS“) შესაბამისად.

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპ"
2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპ"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ- 2022	31-დეკ- 2021	31-დეკ- 2020
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები	3	41,064	23,583	19,894
სავაჭრო მოთხოვნები	4	1,450,982	1,042,654	413,118
მარაგები	5	960,269	770,708	374,560
სხვა მიმდინარე აქტივები	4	298,484	169,849	226,596
სულ მიმდინარე აქტივები		2,750,799	2,006,794	1,034,168
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	9,204	14,593	31,768
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,204	14,593	31,768
სულ აქტივები		2,760,003	2,021,387	1,065,935
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	1,111,244	719,777	395,461
სასესხო ვალდებულებები	7	1,008,936	900,000	400,000
საგადასახადო ვალდებულებები	7	90,001	39,620	8,488
სხვა ვალდებულებები	7	165,936	50,267	10,532
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,376,116	1,709,664	814,481
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2,376,116	1,709,664	814,481
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	9	383,887	311,723	251,455
სულ კაპიტალი		383,887	311,723	251,455
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,760,003	2,021,387	1,065,935

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსაძე

15 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპ"

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"
2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები			
საქონლის რეალიზაცია	10	12,881,299	7,522,801
სხვა შემოსავლები	10	0	122,979
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	0	0
სულ შემოსავლები		12,881,299	7,645,780
ხარჯები			
რეალიზებული პროდ. თვითღირებულება	12	-11,376,444	-6,658,949
სახელფასო ხარჯი	13	-360,968	-260,359
ცვტა და ამორტიზაცია	6 13	-15,460	-21,309
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	13	-288,745	-235,305
მოგების გადასახადი	14	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	87,713	-113,647
სულ ხარჯები		-11,953,904	-7,289,568
ფინანსური შედეგი - მოგება	9	927,395	356,212

ხელმოწერი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსაგა

15 სექტემბერი 2023 წ.
 თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

დასახელება	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		9,874	18,523
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		9,874	18,523
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		9,874	19,894
სავალუტო კურსის ეფექტი		7,607	-14,834
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		41,064	23,583

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსაგა

15 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"-ს ძირითად საქმიანობას ტექნიკით ვაჭრობა წარმოადგენს (მაცივრები, აგრეგატები, პოს მასალები, თაროები და ა.შ). კომპანია ახდენს ოპერირებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ორგანიზაცია გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 2018 წლის 21 ნოემბერი, საიდენტიფიკაციო კოდით 405303318. ორგანიზაციის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ვაკის რ-ნი, მინდელის #12

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). საანგარიშგებო პერიოდში არ დაფიქსირებულა ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თუმცა მსგავსი პრეცედენტის არსებობის შემთხვევაში, კომპანიის პოლიტიკით განსაზღვრულია ოპერაციათა თანმიმდევრობა რაც სრულ თანხვედრაშია საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტთან (IAS). კერძოდ ოპერაციები უცხოურ ვალუტაში - თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის (IFRS FOR SMES) და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობის მიმართულება, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ღირებულება აღირიცხება სხვაობით თავდაპირველ თვითღირებულებასა და დაგროვილი ცვეთას ან/და გაუფასურებას შორის. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუ კი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას

გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება სატრანსპორტო საშუალებები, კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, სხვა ძირითადი საშუალებები ცვეთისათვის:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	1-5
კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	1-5
სხვა ძირითადი საშუალებები	1-5

საექსპლუატაციო ვადების დადგენისას კომპანია ხელმძღვანელობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (IAS) 16 -ით

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე არამატერიალური აქტივები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხედება გაუფასურაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არსებობის შემთხვევაში გადაიხედება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

რაც შეეხება გამოუმუშავებელ შემოსავალს, ის წარმოადგენს სხვა ვალდებულების იმ შემთხვევას, როდესაც კომპანია დარწმუნებულია, კონკრეტულ კონტრაგენტთან, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების მიწოდების საჭიროების შესახებ და უტყუარად შეიძლება მისი ღირებულების გამოთვლა, ხოლო ანგარიშსწორება წინ უსწრებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სუფთა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. რადგანაც კომპანია მოღვაწეობს სადისტრიბუციო სფეროში, მისი მარაგები ძირითადად მოიცავს მზა პროდუქციას, რომლის სარეალიზაციო ფასს წარმოადგენს პროდუქციის ბითუმად რეალიზაციის ღირებულება. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა

უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

სესხები

სესხები აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზებული ღირებულებით.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შეგებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ. კომპანიას ყავს თანამშრომლები, რომელთა სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	41 064	23,583	19,694
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-	-
სულ ფულადი სახსრები	41 064	23,583	19,694

ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკი, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

4. მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშებზე	40,938.18	23,396	19,694
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,450,982	1,042,654	413,118
დებიტორული დავალიანება (ანგარიშვალდებული პირები)	125.85	187	200
საქონელი, ნედლეული, მასალები	960,269	770,708	374,560
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	259,805	167,474	226,596
სხვა მიმდინარე აქტივები	38679.81	2375.37	
სულ მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	2,750,799	2,006,794	1,034,168

მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების უდიდეს ნაწილს კონტრაგენტებთან მომსახურებისა და სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს, რაც ბუნებრივია მოცემულ სფეროში იქედან გამომდინარე, რომ აგარიშსწორებას დაახლოებით 25-30 დღემდე დრო სჭირდება, ეს გარემოება იწვევს თანხების დაგროვებას მოთხოვნების ანგარიშზე.

მოკლევადიანი ფინანსური აქტივების სამართლიან და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არ არის.

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო და მატერიალური მარაგები	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	960 269	770,708	374,560
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	960 269	770,708	374,560

საქმიანობიდან გამომდინარე, კომპანიას აქვს გარკვეული რაოდენობის გასაყიდად გამიზნული მარაგები.

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით. რაც გულისხმობს ჯამს შესყიდვის ფასისა და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალური აქტივების საბალანსო და სამართლიან ღირებულებების შორის სხვაობა არაა.

6. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	სხვა მცირე ფასიანი ძირითადი აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 31 დეკემბერი 2020	-	31 767		31 767
მატება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	-	9763	4830	14593
მატება	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	-	3827	5377	9204

7. მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
კრედიტორული დავალიანება	1,111,244	719,777	395,461
მიღებული ავანსები	112,623	15,572	4,279
გადასახდელი ხელფასი	44,329	33,476	6,253
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,984	1219.13	0
გადასახდების ერთიანი ანგარიში	90,001	39,620	8,488
მიღებული მოკლევადიანი სესხები	1,008,936	900,000	400,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,376,116	1,709,664	814,481

მოკლევადიანი ვალდებულებების უდიდეს ნაწილს კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს, ამას გარდა მნიშვნელოვანია წინასწარ მიღებული შემოსავლები და საგადასახადო ვალდებულებები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

8. გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
მიღებული გრძელვადიანი სესხები - ბანკი	-	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	-

9. კაპიტალი

შპს პროექტურმენტ სერვის გრუპი-მა ფინანსური შედეგის სახით აჩვენა 2022-ში 927 395 ლარის ოდენობის მოგება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 383 887 ლარი.

10. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2022 წელი	2021 წელი
საქონლის რეალიზაცია	12,881,299	7,522,801
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	279 539	122,979
სულ საოპერაციო შემოსავლები	13 160 838	7,645,780

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"
2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს ტექნიკით ვაჭრობა წარმოადგენს (მაცივრები, აგრეგატები, პოს მასალები, თაროები და ა.შ.).

11. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავლები	2022 წელი	2021 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	6224	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2022 წელი	2021 წელი
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11 389 999	6 658 949
სულ თვითღირებულება	11 389 999	6 658 949

13. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
მივლინების ხარჯი		
სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	0	8.47
საწვავი	4,713	4,440
ტრანსპორტირების ხარჯი	68,964	11,800
იჯარის ხარჯი	94,916	56,207
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	1,499	1107.4
საკანცელარიო ხარჯები	0	29.66
კომუნალური მომსახურების ხარჯი	5,062	4,485
ბანკის მომსახურების ხარჯები	12,829	11,532
კომუნიკაციის ხარჯი	2,824	3,110
რემონტის ხარჯები	0	0
ავტოტრანსპორტის რემონტის ხარჯი	51	0
შესყიდვების მომსახურება	26,522	73,322
რემონტის ხარჯები	2,400	2,561
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	65,155	64,418
გადასახადები და მოსაკრებელი	40	316
დაცვის მომსახურება	1,065	1,637
სხვადასხვა მომსახურებები	0	331
სხვა საერთო ხარჯები	1,529	0
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,176	
	288,745	235,305

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სახელფასო ხარჯი, საწვავის ხარჯი, ოფისის და სამეურნეო ხარჯები, რაც დამახასიათებელია აღნიშნულ საქმიანობისთვის.

14. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები კურსთა სხვაობიდან	2022 წელი	2021 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	-31 648	-13,230
საპროცენტო ხარჯები	-152 865	-94,049
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	6225	-19,597
სულ	-178 287	-126,876

არასაოპერაციო ხარჯი მოიცავს საპროცენტო, კურსთა სხვაობის და სხვა ხარჯს.

15. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის გამოქვეყნებას არ განიხილავს, ამას თან ერთვის ის ფაქტიც რომ კომპანია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლო მესამედში შეიქმნეა.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. თუმცა მნიშვნელოვანს საპროცენტო აქტივებს და ვალდებულებების მიმართ რისკი წარმოადგენს მხოლოდ, შესაბამისად მეტცილად არ არის მგრძნობიარე საბაზრო რისკთან მიმართებით. თუმცა მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას არ აქვს და უახლოეს მომავალში არ ელოდება ტრანზაქციების განხორციელებას უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აღნიშნული რისკისგან დაცულია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 4) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

18. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

კომპანია მომგებიანია და მას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების სახით. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები არ აღემატება კომპანიის მიმდინარე აქტივებს და დღეისათვის კომპანიის ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშთები ფარავენ მნიშვნელოვან ნაწილს კომპანიის მიმართ წამოყენებულ ან მოსალოდნელ მოთხოვნების.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31-დეკ- 2022	31-დეკ- 2021	31-დეკ- 2020
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები	3	41,064	23,583	19,894
სავაჭრო მოთხოვნები	4	1,450,982	1,042,654	413,118
მარაგები	5	960,269	770,708	374,560
სხვა მიმდინარე აქტივები	4	298,484	169,849	226,596
სულ მიმდინარე აქტივები		2,750,799	2,006,794	1,034,168
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	9,204	14,593	31,768
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,204	14,593	31,768
სულ აქტივები		2,760,003	2,021,387	1,065,935
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	1,111,244	719,777	395,461
სასესხო ვალდებულებები	7	1,008,936	900,000	400,000
საგადასახადო ვალდებულებები	7	90,001	39,620	8,488
სხვა ვალდებულებები	7	165,936	50,267	10,532
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,376,116	1,709,664	814,481
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		2,376,116	1,709,664	814,481
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	9	383,887	311,723	251,455
სულ კაპიტალი		383,887	311,723	251,455
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,760,003	2,021,387	1,065,935

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსავა

15 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "პროექტმენტ სერვის გრუპ"
2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავლები			
საქონლის რეალიზაცია	10	12,881,299	7,522,801
სხვა შემოსავლები	10	0	122,979
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	0	0
სულ შემოსავლები		12,881,299	7,645,780
ხარჯები			
რეალიზებული პროდ. თვითღირებულება	12	-11,376,444	-6,658,949
სახელფასო ხარჯი	13	-360,968	-260,359
ცვეთა და ამორტიზაცია	6 13	-15,460	-21,309
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	13	-288,745	-235,305
მოგების გადასახადი	14	0	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	15	87,713	-113,647
სულ ხარჯები		-11,953,904	-7,289,568
ფინანსური შედეგი - მოგება	9	927,395	356,212

ხელმოწერი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსავა

15 სექტემბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "პროექტურმენტ სერვის გრუპი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერი

დასახელება	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		9,874	18,523
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		9,874	18,523
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		9,874	19,894
სავალუტო კურსის ეფექტი		7,607	-14,834
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		41,064	23,583

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი: ნუგზარ ურუშაძე

ბუღალტერი: ლელა კორსავა

15 სექტემბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 5-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.